ხელშეკრულება Leish/006

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თარიღი: 14,05,2012 ქ. თბილისი

1. ერთი მხრივ, **შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"** ს/კ 404391136 (შემდგომში - "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, **სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ს/კ211324351** (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი მისი **ნატო ავალიანის** სახით, „სახელმწიფო" შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემდგეზე:

2. ხელშეკრულების საგანი: - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის, პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) ნასყიდობა.

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5031 ლარს დღგ -ს ჩათვლით. ერთი ლიტრი პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) - ის ფასი შეადგენს 2,34 ლარს.**

4. **მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით: პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) საერთო რაოდენობით 2150 (ორიათასორმოცდაათი) ლიტრი.**
5. **„შემსყიდველი ორგანიზაციის" მიერ საწვავის ფასის სრულად გადახდა ხდება წინასწარ.** „მიმწოდებლის" მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის სრულად გადახდიდან 3 (სამი) დღის ვადაში.
6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.
7. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2012 წლის 20 მაისამდე.**

8. „შემსყიდველი ორგანიზაცია" და „მიმწოდებელი" ადასტურებენ, რომ წინამდებარე „ხელშკრულება" არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და

„მიმწოდებლის“ საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების და დაკარგვის რისკი, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. ხელშეკრულება დადებულია 3 (სამი) ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა „შემსყიდველ ორგანიზაციას“, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია“
სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
იურიდიული მის.:მ.ასათიანის ქ. # 9
ს/კ : 211324351
სახელმწიფო ხაზინა:220101222
ანგარიშის #200122900

ნატო ავალიანი

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
შპს“სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
საბა ჯიშიაშვილი

(ხელმოწერა)

SUN PETROLEUM GEORGIA
გაყიდვების დეპარტამენტი
404391136